

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი,
26.01.2013

მათემატიკის დეპარტამენტის ანგარიში

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: ომარ ფურთუხია


ყველა თქვენთაგანს მინდა მივულოცო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში პირველი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო ნაწილის წარმატებით დასრულება, სადაც სრულად წარმოჩინდა ჩვენ ფაკულტეტზე არსებული უაღრესად დიდი სამეცნიერო პოტენციალი და სამომავლო პერსპექტივები. მათემატიკის დეპარტამენტის უკლებლივ ყველა თანამშრომელმა (როგორც აკადემიურმა პერსონალმა, ისე სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების და ახლად დაფუძნებული „სტატისტიკური კვლევების ინსტიტუტის“ თანამშრომლებმა) გააკეთა სამეცნიერო მოხსენება კონფერენციაზე, რისი ამსახველი მასალა განთავსებულია კონფერენციის საიტზე. მოხსენებებში ასახული იყო გასულ წელს მიღებული საინტერესო და მნიშვნელოვანი შედეგები, სად იყო ეს შედეგები მოხსენებელი და სად არის გამოქვეყნებული ან გადაცემული გამოსაქვეყნებლად. აღნიშნული ინფორმაციის და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების არსებითი ნაწილის ამსახველი ვიზუალური მასალის დანახვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით თქვენ შეგიძლიათ შესაბამის დიაგრამებზე. საილუსტრაციო მასალა შესრულებულია ფაკულტეტის საბჭოს 19.12.2012 დადგენილებით დამტკიცებული ცირკულარის მიხედვით.

მათემატიკის დეპარტამენტი შედგება 12 სტრუქტურული ერთეულისაგან: აქედან 7 არის კათედრა, 4 -- სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია და ერთი დეკემბერში დაფუძნებული „სტატისტიკური კვლევების ინსტიტუტი“, რომელსაც არ გააჩნია საბიუჯეტო დაფინანსება.

N	სტრუქტურული ერთეული	ხელმძღვანელი	თანამშრომელთა რაოდენობა
1	კათედრა – ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	სრ. პროფ. ე. ნადარაია	7
2	კათედრა – ალგებრა-გეომეტრია	სრ. პროფ. თ. ვეფხვაძე	6
3	კათედრა – დიფერენციალური განტოლებები	სრ. პროფ. თ. თადუმაძე	5
4	კათედრა - მათემატიკური ანალიზი	სრ. პროფ. უ. გოგინავა	11
5	კათედრა - მექანიკა	სრ. პროფ. გ. ჯაიანი	2
6	კათედრა - მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურები (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები)	სრ. პროფ. რ. ომანაძე	6
7	კათედრა - რიცხვითი ანალიზი და გამოთვლითი ტექნოლოგიები (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები)	სრ. პროფ. რ. ბოჭორიშვილი	6
8	გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორია	პროფ. ხ. რუხაია	2
9	მათემატიკის ლაბორატორია	პროფ. ვ. კვარაცხელია	1
10	მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის ლაბორატორია	პროფ. თ. დავითაშვილი	3
11	უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემების ანალიზის მონათესავე საკითხების ლაბორატორია	ასისტ. პროფ. ნ. ჩინჩალაძე (საზოგადოებრივ საწყისებზე)	2
12	სტატისტიკური კვლევების ინსტიტუტი	სრ. პროფ. ე. ნადარაია	20


დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გასულ წელს გამოქვეყნებული იყო 52 პუბლიკაცია იმჟაქტ ფაქტორიან ჟურნალებში

იმჟაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციების რაოდენობა




გამოქვეყნებული პუბლიკაციების საშუალო იმპაქტ ფაქტორი ნაჩვენებია ლურჯი ფერით, ხოლო თვითონ ჟურნალების ჯამური იმპაქტ ფაქტორი ნაჩვენებია აგურისფერად:


გამოქვეყნებული პუბლიკაციები



სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების რაოდენობისა და იმპაქტ ფაქტორიან პუბლიკაციათა რიცხვის შედარება




სამეცნიერო პროექტების განაწილება სტრუქტურულ ერთეულებში




საერთაშორისო გრანტების ჯამური დაფინანსება

საერთაშორისო გრანტები


■ ჯამური დაფინანსება ■ მათ შორის თანამშრომლების



ადგილობრივი გრანტების ჯამური დაფინანსება




საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე გაკეთდა შესაბამისად 68 და 71 მოხსენება:



სტუდენტთა ჩართულობა


სტუდენტთა ჩართულობა

■ სტუდენტთა რაოდენობა



მეცნიერების პოპულარიზაციაში მონაწილეობა

მეცნიერების პოპულარიზაციაში მონაწილეობა



- როგორც აღნიშნული იყო, დეპარტამენტის შიგნით ფუნქციონირებს 4 სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, სადაც სულ 8 თანამშრომელია (აქედან ერთი საზოგადოებრივ საწყისებზე). მართალია თანამშრომელთა რაოდენობა მცირეა, მაგრამ გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, ისინი აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესშიც, ატარებენ სავალდებულო დატვირთვის გარეთ ლაბორატორიულ მეცადინეობებსა და სხვადასხვა სახის კონსულტაციებს.
- ფუნქციონირებს სასწავლო-შემეცნებითი სემინარი: „გამოთვლითი ალბათობა (ლაბორატორიული სამუშაოები ალბათობაში)“ (ხელმძღვანელი: ვ.კვარაცხელია)
- გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის თაოსნობით ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ლოგიკა და ენა“. საორგანიზაციო კომიტეტის წევრები არიან სწორედ ამ ლაბორატორიის თანამშრომლები (გამგე -- ხ. რუხაია და უფროსი ლაბორანტი -- ლ. ტიბუა). (<http://www.logic.at/tbilisi12>). შარშან აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა უკვე მე-9-ედ და მასში მონაწილეობა მიიღო 50 სტუდენტმა რესპუბლიკის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

2012 წელს ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები მოიპოვეს დეპარტამენტის შემდეგმა თანამშრომლებმა:

1. ასისტენტ პროფესორი პეტრე ბაბილუა;
2. ასოცირებული პროფესორი გია ავალიშვილი;
3. უფროსი ლაბორანტი ბაკურ გულუა.
4. ასისტენტ პროფესორი (დოქტორანტი) შალვა ზვიადაძე.

ამასთანავე ბაბილუამ, ავალიშვილმა და გულუამ ეს გრანტი მოიპოვეს განმეორებით.

2012 წლის “უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით
ერთობლივი კვლევებისათვის” სახელმწიფო გრანტების
გამარჯვებულები პროექტები

1. 3 წლიანი; 150 000 ლარი; ხელმძღვანელი შვედეთის უმეას უნივერსიტეტის პროფესორი როსტომ გეჭაძე;
2. 3 წლიანი; 150 000 ლარი; ხელმძღვანელი სანფრანცისკოს უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ გუბელაძე;
3. 2 წლიანი; 100 000 ლარი; ხელმძღვანელი ამერიკის მისურის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ წიკლაური
4. ამასთანავე, გასულ წელს გრძელდებოდა 2011 წლის “უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის” სახელმწიფო გრანტების გამარჯვებულები პროექტი, რომლის ხელმძღვანელი იყო ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ–თანამშრომელი, ფიზ.მათ მეცნ.დოქტორი ამირან გოგატიშვილი. აღსანიშნავია რომ ყველა ამ პროექტში ჩართულები არიან ჩვენი დეპარტამენტის სტუდენტები.


გარდა ამისა, გასული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და გრძელდება ან დასრულდა დეპარტამენტის თანამშრომელთა მონაწილეობით 9 საერთაშორისო და 19 ადგილობრივი სამეცნიერო გრანტი, რომელთა ჯამურმა დაფინანსებამ შეადგინა შესაბამისად დაახლოებით 3 970 000 ლარი და 1 640 000 ლარი. თანხებში ეს დისპროპორცია აიხსნება იმით, რომ საერთაშორისო გრანტებში შედის ერთი ევროკავშირის და ერთი იტალიის გრანტი შესაბამისად 1 000 000 და 500 000 ევროს ოდენობით, მაგრამ სამწუხაროდ ამ გრანტებში მონაწილე პროფესორებს უ. გოგინავასა და რ. გრიგოლიას აქედან მხოლოდ სამივლინებო თანხების მიღება შეუძლიათ, ხოლო ეროვნული გრანტების მაქსიმალური ბიუჯეტი კი მხოლოდ 150 000-ია.

მთელი წლის განმავლობაში მოქმედებდა მათემატიკის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი პროფესორ ელიზბარ ნადარაიას ხელმძღვანელობით, სადაც წლის განმავლობაში თავისი სამეცნიერო შედეგების შესახებ მოხსენებით წარდგება დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი. გარდა ამისა, აქვე ხდება სადოქტორო დიერტაციების წინასწარი განხილვა.

2012 წლის პირველ ნახევარში მათემატიკის დეპარტამენტში მოწვეული იყო ამერიკის სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი კონსტანტინე ოსკოლკოვი, რომელიც ორი კვირის მანძილზე კითხულობდა ლექცია-სემინარების კურსს სახელწოდებით „რადონის გარდაქმნები და მისი გამოყენებები“ ფაკულტეტის შესაბამისი თემატიკით დაინტერესებული სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის. მოგვიანებით მათემატიკის დეპარტამენტში მოწვეული იყო საფრანგეთის მონტპელიეს უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ვერშინინი, რომელმაც წაიკითხა 3 კვირიანი ლექციათა ციკლი სახელწოდებით „მარყუჟები და ნაწნავები“. 2012 წლის მეორე ნახევარში დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარზე არაერთი მოხსენებით წარდგა პიერ და მარი კიურის უნივერსიტეტის (პარიზი VI-სორბონის უნივერსიტეტი) პროფესორი მ. ტირიე.

დეპარტამენტის ბაზაზე მოქმედებს საერთო სადოქტორო პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის გოტინგენის უნივერსიტეტებს შორის.

2007 წლიდან ახალი ზელანდიის ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის პროფესორმა ესტატე ხმლაძემ დააწესა თავისივე სახელობის სტიპენდია მათემატიკისა და ფიზიკის დეპარტამენტის გარკვეული პროფილის წარჩინებული მაგისტრანტებისათვის. 2012 წელს აღნიშნული სტიპენდია მოიპოვა მათემატიკის დეპარტამენტის მაგისტრანტმა გიორგი ტეფნაძემ.



ისრაელის არიელის უნივერსიტეტსა და თსუ–ს შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც 2007 წლიდან დაწყებული რეგულარულად ტარდება ონლაინ ოლიმპიადა მათემატიკაში, რომელსაც ქართული მხრიდან ხელმძღვანელობენ ჩვენი დეპარტამენტის პროფესორები რომან კოპლატაძე და თამაზ თადუმაძე, ხოლო ისრაელის მხრიდან მათემატიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ალექსანდრ დომუშნიცკი. ეს ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად. პირველი ტური გულისხმობს, რომ გარკვეულ წინასწარ შეთანხმებულ დროს ინტერნეტში იდება საოლიმპიადო ამოცანები და მონაწილეს ეძლევათ განსაზღვრული დრო (რამოდენიმე საათი) მათს ამოსახსნელად. ეს პროცესი მიმდინარეობს ვიდეოთვალთ ალჭურვილ სპეციალურ ოთახში და ორივე მხარე თვალს ადევნებს სტუდენტების მუშაობის პროცესს. ამ დროის გასვლის შემდეგ პასუხები იგზავნება ისრაელში და იქ გამოავლენენ ოლიმპიადაში გამარჯვებულებს. გამარჯვებულები მონაწილეობენ მეორე ტურში, რომელიც უკვე ისრაელში ტარდება. როგორც წესი, ისრაელში პირველ ტურში გამარჯვებულ სტუდენტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს პროფ. რომან კოპლატაძე. ამ პერიოდში დეპარტამენტის სტუდენტებს მოპოვებული აქვთა არაერთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი და მრავალი საპატიო სიგელი როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ შეჯიბრებებში. კონკრეტულად, 2012 წელს, ჩვენი დეპარტამენტის სტუდენტებიდან გამოვლინდა 4 გამარჯვებული, აქედან 1 ოქროს მედალი, 1 ვერცხლის მედალი და 2 ბრინჯაო.

შარშან დაფუძნდა სტუდენტთა საქალაქო სემინარი: „შესავალი სტოქასტურ მოდელირებაში“ (თანახელმძღვანელი ო.ფურთუხია)

შარშან განახლდა (ხელახლა დაფუძნდა) საქართველოს სტატისტიკური ასოციაცია (თანადამფუძნებელი: ე. ნადარაია, გამგეობის წევრები: მ.შაშიაშვილი, ო.ფურთუხია)

გასულ წელს, მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელ პროფ. რ. ბოჭორიშვილის ინიციატივით დეპარტამენტში დაინერგა სწავლის შედეგის მიღწევის ახალი მეთოდი: „პროექტი“.

მე-5 სემესტრიდან ყოველ მომდევნო სემესტრში მოწინავე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აიღონ 5 კრედიტიანი პროექტი (სულ არაუმეტეს 20 კრედიტის მოცულობით), რომელიც გულისხმობს პროფესორის სტუდენტთან ინდივიდუალურ მუშაობას პროფესორის მიერ გამოცხადებული თემის ირგვლივ, წინასწარ შედგენილი სილაბუსით, ყოველკვირეული შეხვედრების გარიგით და შეფასების სქემებით, კერძოდ სემესტრში 1 კოლოკვიუმი და საბოლოო გამოცდა პრეზენტაციის სახით კომისიის წინაშე.

მეცნიერების პოპულარიზაციაში მონაწილეობა.

საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში წაკითხულ იქნა 7 ლექცია. მათ შორის, პროფესორმა ილია თავხელიძემ ზამთრის საბავშვო უნივერსიტეტში წაკითხა ლექცია თემაზე: „სასრული და უსასრულო — მათემატიკა მეცნიერება უსასრულობის შესახებ“, ხოლო ზაფხულის საბავშვო უნივერსიტეტში კი ლექცია თემაზე: „მათემატიკა — ენა რომელზეც ბუნება გვესაუბრება“.

2012 წელს რესპუბლიკის სკოლების მონაწილეობით ჩატარდა ვიქტორინა სამ ტურად ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში. საწყის ეტაპზე მასში მონაწილეობდა 40–ამდე სკოლა. ფინალურ შეჯიბრებაში გავიდა 7 სკოლის გუნდი (მათ შორის იყო რაიონების სკოლებიც). ჩვენი დეპარტამენტიდან ვიქტორინის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო პროფესორმა თენგიზ კოპალიანმა. შეჯიბრებამ საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა როგორც ჩვენი გადასახედიდან, ისე ძალიან დიდი იყო ინტერესი სკოლების მხრიდან. პროფ. კოპალიანის აზრით აქ არის საკმაოდ დიდი რეზერვი მოსწავლეების მოსაზიდად ჩვენს ფაკულტეტზე და, შესაბამისად ეს პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. მოსაფიქრებელია მოქნილი სქემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს რომ სკოლებმა დააკომპლექტონ თავიანთი გუნდები მომავალ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ამისათვის ერთ–ერთ საშუალებად მიგვაჩნია ჩვენი წარმატებული სტუდენტების გამოყენება საკუთარი სკოლების გუნდის ჩამოყალიბების პროცესში.

2011 წელს დეპარტამენტის პროფესორები გ.სოხაძე და ო. ფურთუხია გახდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტები და 2012 წლის განმავლობაში აგრძელებდნენ ამ რანგში მუშაობას.

აკრედიტაცია გაირა მათემატიკის დეპარტამენტში მომზადებულმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამებმა:

„ინოვაციური საკითხები მათემატიკის პროგრამაში (პროფესიული ცოდნა სასკოლო რეფორმის კონტექსტში)“

პროგრამის მიზანია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები მოამზადოს სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მათემატიკის იმ ნაწილში, რომლებიც არატრადიციულია სასკოლო პროგრამაში, მაგრამ აუცილებელია მასწავლებლის სტანდარტის მიხედვით. (ხელმძღვანელი: გ.სოხაძე)

„მათემატიკა (პროფესიული ცოდნა)“

პროგრამა განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებისათვის და მისი მიზანია მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, მათი საგნობრივი ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობა და აღჭურვა სწავლების თანამედროვე მეთოდებით. (ხელმძღვანელი: თ.ვეფხვაძე)

პარალელურად დეპარტამენტის თანამშრომლები მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მასწავლებლის სახლის ეგიდით ჩატარებულ საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ყველა ტრენინგ-კურსის (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი) მუშაობაში თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ტრენინგების რანგში.

2012 წელს დეპარტამენტს ჰქონდა არაერთი მნიშვნელოვანი თარიღი. მათ შორის, გასულ წელს 75 წელი შეუსრულდათ სახელოვან ქართველ მეცნიერებსა და ჩვენი უნივერსიტეტს პირველ ემერიტუს პროფესორებს ბატონ თამაზ ვაშაყმაძესა და ბატონ დავით გორდეზიანს. ბატონი თამაზის იუბილე ღირსეულად იქნა აღნიშნული ჩვენს უნივერსიტეტში, ხოლო ბატონ დავითის უბილეს მიეძღვნა საპატრიარქოს უნივერსიტეტის სემინარის სხდომა. მე მინდა დეპარტამენტის სახელით თითოეულ მათგანს კიდევ ერთხელ მივულოცე ეს იუბილე, ვუსურვო ხანგრძლივი სიცოცხლე და აქტიური სამეცნიერ–პედაგოგიური მოღვაწეობა.

გასულ წელს ფაკულტეტის დეკანის, ბატონ რამაზ ბოჭორიშვილის ინიციატივითა და უდიდესი ძალისხმევით მომზადებულ იქნა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი მათემატიკაში. მისი რედაქტორი გახლავთ პროფესორი თეიმურაზ ვეფხვაძე. ჟურნალის ერთ-ერთი განყოფილება ეძღვნება დეპარტამენტის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს. ამ ნაწილს უძღვება პროფესორი როლანდ ომანაძე და იგი წერს, რომ:

„მსოფლიოში აღიარებული ქართული მათემატიკური სკოლის თითქმის ყველა წარმომადგენელმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. ამჟამად მრავალი ქვეყნის ცნობილ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ და მათემატიკურ ცენტრებში მუშაობენ ჩვენს უნივერსიტეტში აღზრდილი მათემატიკის პროფესორები. მაგ. აშშ-ში, ინგლისში, სამხრეთ აფრიკაში, ახალ ზელანდიაში, შვედეთში, ჩეხეთში და სხვა. თითოეულ მათგანს სამეცნიერო-კვლევითი უნარები გამოუმუშავდათ ჩვენს უნივერსიტეტში, რადგან აქ ყოველთვის მაღალ დონეზე იკითხებოდა სასწავლო კურსები, მოქმედებდა სასწავლო-სამეცნიერო სემინარები და მიმდინარეობდა აქტიური სამეცნიერო მუშაობა. ეს ტრადიცია ამჟამად კიდევ უფრო ღრმავდება, რაც ორგანულადაა გათვალისწინებული მათემატიკის პროგრამაში. მათემატიკის დეპარტამენტში, ყველა მიმართულებით, ლექციებს კითხულობენ ცნობილი პროფესორები, რომლებიც ეწევიან აქტიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

გარდა ამისა, დეპარტამენტში მოქმედებს მრავალი სასწავლო-სამეცნიერო სემინარი, სადაც დაინტერესებულ სტუდენტს შეუძლია ღრმად დაეუფლოს მათემატიკის სხვადასხვა დარგს და, ცნობილი მეცნიერის ინდივიდუალური ხელმძღვანელობით, შეიძინოს მეცნიერული კვლევის სათანადო უნარები. ზემოთ ნათქვამის დადასტურებაა ჩვენი დეპარტამენტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების მიერ, ბოლო წლებში, მაღალი დონის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები. საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო ჩვენი ყოფილი სტუდენტებიდან ნაწილი წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას საქართველოში, ხოლო მეორე ნაწილი კი ჩვენი პროფესორების მიერ გაწეული რეკომენდაციის შედეგად, სწავლას აგრძელებს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ უნივერსიტეტში. ზოგიერთი მათგანის შესახებ მოკლე ინფორმაცია მკითხველს პერიოდულად მიეწოდება ამ ჟურნალის საშუალებით“.

ჩვენი კურსდამთავრებულები

მიხეილ რუხაია

ამჟამად ვსწავლობ ვენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტურაში. ამის პარალელურად, ვარ ამავე ფაკულტეტის კომპიუტერულ ენათა ინსტიტუტის, თეორიისა და ლოგიკის ჯგუფის თანამშრომელი.

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა რათქმა უნდა დიდი როლი ითამაშა ჩემს წარმატებაში. უპირველესად მინდა აღვნიშნო ის განათლება, რომელიც მივიღე მათემატიკური ლოგიკის განხრით, რომელიც პირდაპირ კავშირშია იმ საქმიანობასთან რითიცამჟამად ვარ დაკავებული ვენაში. ასევე მინდა აღვნიშნო თბილისის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის (ლოგიკა და ენა) როლი, რომელიც ყოველწელს ტარდება თსუ-ში და რომელმაც საშუალება მომცა ურთიერთობა მქონოდა უცხოელ მეცნიერებთან და გამიკვალა გზა ევროპისკენ.



ირაკლი პაჭკორია

2008 წლის ოქტომბრიდან, ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, სწავლას ვაგრძელებ გერმანიაში, ბონის ფრიდრიხ-ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში, ალგებრული ტოპოლოგიის განხრით. ჩემი სადისერტაციო ნაშრომის თემაა: “მდგრადობა ექვივარიანტულ სტაბილურ ჰომოტოპიის თეორიაში”. დაცვა შედგება 2013 წლის აგვისტო-სექტემბერში.

რეგულარულად გამოვდივარ მოხსენებებით საერთაშორისო სამეცნიერო შეხვედრებზე. ჩემი შედეგების მოსახსენებლად მიწვეული ვიყავი ბილიფელდის და ვუპერტალის უნივერსიტეტებში (გერმანია). გარდა ამისა, 2012 წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაგეგმილია ჩემი მოხსენებები რეგენსბურგის (გერმანია), შეფილდის, გლაზგოს, ლესტერის (დიდი ბრიტანეთი), ჩიკაგოს, ურბანას და ჩრდილო-დასავლეთის (აშშ) უნივერსიტეტებში.

პუბლიკაციები: ერთი სტატია გამოქვეყნებულია HHA-ში და ერთიც მიღებულია გამოსაქვეყნებლად Algebraic and Geometric Topology-ში.



მაია სვანაძე

ამჟამად ვსწავლობ გეორგ აუგუსტის გოტინგენის უნივერსიტეტში, გერმანიაში. ვარ მათემატიკის ფაკულტეტის დოქტორანტი. პროფესორი ნგოვიტისა და პროფესორ გიორგი ჯაიანის ხელმძღვანელობით ვმუშაობთემაზე: "მიკრო-სტრუქტურის მქონე ბლანტი დრეკადი სხეულების არაკლასიკური ამოცანები". ამავე დროს ვმუშაობ გოტინგენის მათემატიკის ინსტიტუტში და ვარ გრანტის თანამონაწილე: „მათემატიკური სტრუქტურები თანამედროვე კვანტურ ფიზიკაში“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივიღე საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა მათემატიკაში, შევიძინე სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის უნარი, ბაკალავრიატში სწავლის პერიოდში პროფესორ ჯონდო შარიქაძის ხელმძღვანელობით რამდენჯერმე გავაკეთე მოხსენება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. ჩემს წარმატებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული მათემატიკური სკოლის დიდმა ტრადიციებმა დრეკადობის თეორიაში. ამ თეორიის მეთოდების ცოდნამ საშუალება მომცა უფრო ადვილად გავცნობოდი უწყვეტ გარემოთა მექანიკის თანამედროვე პრობლემებს.



სალომე ბასლნაძე

ვარ ჰენსილვანიის უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორანტურის სტუდენტი.

თსუ-ში მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლის ოთხმა წელიწადმა, ერთის მხრივ, აღმჭურვა კონკრეტული და საჭირო ცოდნით ჩემი აკადემიური ცხოვრების მომდევნო ეტაპისათვის და მეორეს მხრივ, გამიღრმავა ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი. ამის გარდა, დამაკავშირა კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებლებთან და შემძინა ბევრი მეგობარი. ვთვლი, რომ თსუ-ს უკავშირდება ჩემი ცხოვრების ძალიან სასიამოვნო და ნაყოფიერი პერიოდი, და ამაში დიდი როლი მიგიძღვით პროფესორ-მასწავლებლებს, რისთვისაც ყველას გიხდით დიდ მადლობას.



ქეთევან ჩხაიძე

ამჟამად ვარ ლონდონში, სწავლას ვაგრძელებ ლონდონის იმპერიალ კოლეჯში სტატისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გამარჯვების შედეგად სრულად დამიფინანსდა როგორც სწავლის, ასევე საცხოვრებელი ხარჯები.

ამ წარმატების მიღწევაში დიდად დამეხმარა თსუ-ში მიღებული ცოდნა და გამოცდილება. იმპერიალ კოლეჯში მომიწონეს საკმაოდ კარგი ბაზისური ცოდნა თითქმის ყველა მათემატიკის მიმართულებაში და მრავალფეროვნება იმ საგნებისა, რომლებიც თსუ-ში გავიარე და და მათში მიღებული საუკეთესო შეფასებები. ასევე ძალიან დამეხმარა ჩემი ლექტორების რეკომენდაციები (ელიზბარ ნადარია, რამაზ ბოჭორიშვილი, როლანდ დუდუჩავა).

იმპერიალში სწავლის დაწყების პირველ კვირას ჩავვიტარეს დიაგნოსტიკური ტესტი, რომელშიც ასევე კარგი შედეგი ვაჩვენე. შევეცდები აქაც წარმატებით გავაგრძელო სწავლა.



ზურაბ აბრამიშვილი

მე ამჟამად ვარ კარლოვის უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტისა და ჩეხეთის რესპუბლიკის ეკონომიკის ინსტიტუტის ერთობლივი ორგანიზაციის III კურსის დოქტორანტი. ამჟამად ვარდისერტაციის მომზადების ეტაპზე და ვმუშაობ კანონში და ეკონომიკაში. უფრო კონკრეტულად კი ვსწავლობ გამომდინარეობით ანალიზს გამოყენებითი ეკონომეტრიკისკუთხით. ამ ტემპით გაგრძელების შემთხვევაში 2014 წლისთვის ვიქნები ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში. ჩემი მომავალი მიზნები უკავშირდება სახელმწიფო სამსახურს, უფრო კონკრეტულად კი მაინტერესებს რეფორმების შესწავლა მიკრო და მაკრო დონეზე.

თანამედროვე ეკონომიკის შესწავლა შეუძლებელია მათემატიკური აპარატის ცოდნის გარეშე. გასნაკუთრებით კი ეკონომეტრიკა არის დარგი, სადაც საჭიროა მათემატიკის სხვადასხვა დისციპლინების ცოდნა: როგორებიცაა ფუნქციონალური ანალიზი, ალბათობისთეორია, სტატისტიკა და წრფივიალგებრა. გამომდინარე აქედან მინდა გულახდილად ვთქვა რომ ჩემს მიერ მიღებული მათემატიკური ცოდნა არის ქვაკუთხედი იმ წარმატებებისა, რომლებიც მქონდა თსუ-ს დამთავრების შემდეგ.



გიორგი ნადარეიშვილი

ვიმყოფები გეორგ აუგუსტის სახელობის უნივერსიტეტში ქალაქ გოტინგენში. ვარ საერთო სადოქტორო პროგრამის მონაწილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გოტინგენის უნივერსიტეტს შორის. ამჟამად ვმუშაობ ბივარიანტულ K თეორიაში, კერძოდ ვცდილობ ლოკალიზებადი ქვეკატეგორიების კლასიფიკაციას ზოგიერთ ექვივარიანტულ ბივარიანტულ K თეორიაში (ძალიან ზოგადად: ტრიანგულირებადი კატეგორიიდან გეომეტრიული ობიექტის აღდგენას), პროფესორ ხვედრი ინასარიძისა და პროფესორ რალფ მეიერის ხელმძღვანელობით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლამ საბაკალავრო დონეზე, შესაძლებლობა მომცა გავცნობოდი მათემატიკური დისციპლინების ფართო სპექტრს და ასევე მესწავლა ძალიან მაღალი დონის პროფესორებისაგან, რომლებიც თავ-თავიანთ დარგში უმაღლესი ხარისხის პროფესიონალებად ითვლებიან მთელს მსოფლიოში. თსუ-ში სწავლამ სამაგისტრო დონეზე, გარდა ზემოხსენებულისა, შესაძლებლობა მომცა ჩავრთულიყავი საერთო სადოქტორო პროგრამაში გეორგ აუგუსტის სახელობის უნივერსიტეტთან გოტინგენში, და სადოქტორო დამეცვა გერმანიაში, ჩემთვის საინტერესო დარგში მსოფლიოში მოწინავე სასწავლებელში.



აკაკი მამაგვიშვილი

თსუ-მ დიდი როლი ითამაშა ჩემს მიღებულ განათლებაში, ყველა მათემატიკის პროფესორი თავისი საქმის პროფესიონალი იყო, რაც განათლების მისაღებად აუცილებელი პირობაა. ზოგი მათგანი კი მსოფლიოს წამყვანი მეცნიერია, რაც მოტივაციას მიზრდიდა და მაგებინებდა რისთვის ვსწავლობდი მათემატიკას. ასევე მინდა გამოვთქვა პირადი პატივისცემა და მადლიერება კომპიუტერული მეცნიერებების პროფესორის, სანდრო გამყრელიძის მიმართ, რომლის რეკომენდაციამაც და დახმარებამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს წარმატებაში და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაში.



ირაკლი ჩიტაია

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულმა სასწავლო-სამეცნიერო სემინარებმა მომცა საშუალება უფრო ღრმად შემესწავლა ჩემთვის საინტერესო საკითხები და მონაწილეობა მიმელო კვლევის პროცესში. აღნიშნულ სემინარებზე მიღებული ცოდნა და მეცნიერული შედეგები კი შემდგომში ძალიან დამეხმარა დოქტორანტურაზე ჩარიცხვასა და სტიპენდიის მოპოვებაში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თსუ-ს მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებს, განსაკუთრებით კი თსუ-ს სრულ პროფესორს ბატონ როლანდ ომანაძეს.

თსუ-ში გატარებულმა წლებმა მყარი საბაზისო ცოდნა მომცა მათემატიკის მრავალ დარგში და გამომიმუშავა მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.


შარშან ჩავირიცხე სინგაპურის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში და მოვიპოვე საჭირო დაფინანსება.



გიორგი ჭკადუა

ამჟამად ვსწავლობ ლონდონის სამეფო კოლეჯის მათემატიკის დეპარტამენტის დოქტორანტურაში.

თსუ-ში მიღებულმა განათლებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სწავლისა და კვლევის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებაში, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია სამომავლოდ მეცნიერად ჩამოყალიბებისათვის.



მიხეილ ნადარეიშვილი

მე ახლა საქართველოში ვარ, ეკონომიკის სამაგისტრო კურსს გავდივარ ISET -ში. შარშან გავიარე გამოყენებითი სტატისტიკის სამაგისტრო კურსი (ხარისხის სრული სახელია MSc in Applied Statistics) ოქსფორდის უნივერსიტეტში, დავასრულე წარჩინებით.

თსუ-ის მათემატიკის დეპარტამენტში გავიარე საბაკალავრო კურსი მათემატიკაში, რომელმაც მომცა მყარი საფუძველი შემდგომი სწავლისთვის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვან უნივერსიტეტში. თსუ-ში მიღებული ცოდნა და უნარები ჩემთვის წარმოადგენს იმ ფუნდამენტს, რომელზეც შემიძლია დავაფუძნო ჩემი შემდგომი კვლევითი თუ პროფესიონალური სამუშაოები.



დავით ცირეკიძე

მე ამჟამად ვსწავლობ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სტენფორდის უნივერსიტეტში ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე. სულ ხუთწლიანი პროგრამაა. ეხლა ვარ მეორე კურსზე. რაც შეეხება მათემატიკის დეპარტამენტს, უაღრესად დამეხმარა! პირველ რიგში აღვნიშნავდი მათემატიკური ანალიზის კათედრას, განსაკუთრებით ბატონები თეიმურაზ ახოზაძე და ზაზა გოგინავა. ჩემი ისეთი დონის უნივერსიტეტში მოხვედრა როგორც სტენფორდია განპირობებული იყო, რატემა უნდა, დიდწილად იმ რეკომენდაციებით, რომელიც მე მომცეს ISET- ში, ამერიკელმა პროფესორებმა და ასევე ქართველმა მათემატიკოსმა ბატონმა თორნიკე ქადეიშვილმა. მაგრამ, რომ არა ის ორი სტატია რომელიც მე გამოვაქვეყნე უნგრეთში მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლის დროს, ალბათ ეს შეუძლებელი იქნებოდა. მათემატიკის დეპარტამენტის მხარდაჭერით მივაღწიე იმას რომ ეს სტატიები დაიბეჭდა და მე ეხლა აქ ვაგრძელებს წავლას!

მეუღლრმეს მადლობას გამოვხატავ მთლიანად მთელი დეპარტამენტის მიმართ და პირადად ბატონ როლანდ ომანაძის მიმართ, ვინაიდან მუდამ მგულშემატკივრობდით და მეხმარებოდით!



**მადლობა
ყურადღებებისთვის!**